

დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
ბრძანება N04-13 (15.02.2019) დანართი N1
ცვლილება: 04-16 (21.02.2019) დანართი N1
N04-25 (11.03.2019) დანართი N1
N04-34 (27.03.2019) დანართი N1



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
მეზაღობა

მისამართი: მცხეთის რ-ნი, სოფ. წინამძღვრიანთკარი

საკონტაქტო ინფორმაცია: 577215090; www.tmk.edu.ge

communitycollege@tmk.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: შორენა კაპანაძე

მცხეთა

2019

1. პროგრამის სახელწოდება: მებაღეობა/Horticulture

2. სარეგისტრაციო ნომერი: 08111-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Basic Vocational Qualification in Horticulture

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისობაშია 0812-თან, აღმწერი - „შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას, ლანდშაფტის მებაღეობასა და სხვა“.

4. პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც მებაღეობის სფეროსთვის მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს.

5. დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების შესაძლებლობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია - ბოტანიკური ბაღი, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური, პარკები, სკვერები, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობები, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობა, სამშენებლო კომპანია, დიზაინერული პროფილის ოფისები.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული კოდებია - 6113, 9214

დასაქმების პოზიციები:

- მებაღე
- ლანდშაფტის მებაღე
- ბაღის მომვლელი
- გაზონის მთიბავი
- სანერგეს მეურნეობის დამხმარე

დასაქმების შესაძლებლობებია - მებაღეობა, ბაღის მოწყობის სპეციალისტი.

ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016წ.) სექცია „N“. განყოფილება 81 - „შენობების და ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები“ 81.3; 81.30; 81.30.0

7. სტრუქტურა და მოდულები

მებაღეობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 85 კრედიტი, რომელთაგან 12 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 73 კრედიტი - პროფესიული მოდულები.

მებაღეობა		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 2	2
4.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
ჯამი		12
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - მებაღეობა	2
2.	მცენარეთა სისტემატიკა	2
3.	დეკორატიული მცენარეები	10
4.	ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები	2
5.	დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება	2
6.	ნიადაგების იდენტიფიცირება	1
7.	საქართველოს ფლორა	2
8.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
1.	ნიადაგი და მისი მომზადება	5
2.	ბაღის მოვლა	7
3.	დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება	6
4.	მცენარეთა სხვა-ფორმირება	6
5.	მცენარეთა დაცვა	3
6.	გაზონის მოწყობა და მოვლა	3
7.	ბაღის საინჟინრო ელემენტების მოწყობა	7
8.	ბაღის მხატვრული ელემენტების მოწყობა	7
9.	პრაქტიკული პროექტი მებაღეობაში - კონკრეტული ტერიტორიისთვის პროექტის მიხედვით ბაღის მოწყობა	6
ჯამი		73

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. დაამუშაოს ნიადაგი;
2. დარგოს და მოუაროს მცენარეებს ღია და დახურულ გრუნტში;
3. უზრუნველყოს დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლება;
4. უზრუნველყოს დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხეივანი მცენარეების, ვარდების სხვა-ფორმირება;
5. მოაწიოს გაზონი, სარწყავი სისტემა, წყლის სარკეები, ბილიკი, კიბე, მოედანი;
6. დაგეგმოს და განახორციელოს ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით (ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობა.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა შეიმუშავა მეზღვების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულურებში.

პროგრამა ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;

- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმის/ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

- ფიზიკური პირი სულიკო სინაძე
- ფიზიკური პირი ზაქარია სინაძე
- " საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაცია"

14 .არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული

დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

15. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- ჩარჩო დოკუმენტი - მებაღეობა

15. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა ხორციელდება მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითდი სასწავლო კორპუსი, ოთახი N305

პრაქტიკული კომპონენტი: ფიზიკური პირი სულიკო სინაძე (მის. მცხეთის რაიონი სოფ. არაშენდა), ფიზიკური პირი ზაქარია სინაძე (მის. მცხეთის რაიონი სოფ. არაშენდა), " საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაცია" (მის. სოფ. დიღომი, 13 ასურელი მამის ქუჩა, მერვე ჩიხი N12).

16. პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 85 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 115 კრედიტი

17. პროგრამის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 96 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 118 სასწავლო კვირა

დანართი N1 - სასწავლო გეგმა

დანართი N2 - პროგრამის განმახორციელებლები

დანართი N3 - ინფორმაციული წიგნიერება

დანართი N4 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი N5 - მეწარმეობა 2

- დანართი N6 - უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- დანართი N7 - გაცნობითი პრაქტიკა
- დანართი N8 - ბადის მოვლა
- დანართი N9 - დეკორატიული მცენარეები
- დანართი N10 - მცენარეთა სხვლა-ფორმირება
- დანართი N11 - მცენარეთა დაცვა
- დანართი N12 - გაზონის მოწყობა
- დანართი N13 - საქართველოს ფლორა
- დანართი N14 - ბადის მხატვრული ელემენტების მოწყობა
- დანართი N15 - ნიადაგი და მისი მომზადება
- დანართი N16 - მცენარეთა სისტემატიკა
- დანართი N17 - დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება
- დანართი N18 - ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები
- დანართი N19 - დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება
- დანართი N20 - ნიადაგების იდენტიფიცირება
- დანართი N21 - ბადის საინჟინრო ელემენტების მოწყობა
- დანართი N22 - გარემოსდაცვითი საფუძვლები
- დანართი N23 - პრაქტიკული პროექტი
- დანართი N24 - ქართული ენა A2
- დანართი N25 - ქართული ენა B1